

# ინფორმაცია

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 2019 წელს მიმდინარე პროგრამული  
ღონისძიებების შესრულების შესახებ

სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი

2020 წელი


ბათუმი

სსიპ აჭარის ა.რ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის 2019 წლის ქვეპროგრამა „დაავადებათა პრევენცია და პროფილაქტიკა“ რეგიონის მოსახლეობის სხვადასხვა სამიზნე ჯგუფს მომსახურებას სთავაზობდა შემდეგი ღონისძიებების ფარგლებში.

- ღონისძიება „**მენჯ-ბარძაყის სახსრის დიპლაზიისა და თანდაყოლილი ამოვარდნილობის ადრეული დიაგნოსტიკა**“, რომელიც ითვალისწინებდა 0-1 წლამდე ასაკის ბავშვებში ორთოპედის კონსულტაციას, Ca-ის შემცველ მედიკამენტოზურ პრევენციას, პირველადი დიაგნოზის დაზუსტების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, რენტგენოლოგიურ გამოკვლევას, ორთოპედის მიერ შემთხვევის მართვის დროულ დაგეგმვას. სამედიცინო მომსახურების მიწოდება ხორციელდებოდა მუნიციპალიტეტებში პირველადი ჯანდაცვის ცენტრების დონეზე. ღონისძიებით მოსარგებლე იყო 0-1 წლამდე ასაკის ბავშვები (ერთჯერადად), რეგისტრირებული აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, კერძოდ, ხელვაჩაურის, ქობულეთის, ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში.

2019 წლის განმავლობაში ორთოპედის პირველადი კონსულტაცია ჩაუტარდა 0-1 წლამდე ასაკის სულ 1051 ბავშვს, მ.შ: 429 გამოკვლეული იყო ქობულეთის მუნიციპალიტეტში, 351 ხელვაჩაურში, 78 ქედის, 74 შუახევის და 119 ხულოს პირველადი ჯანდაცვის ცენტრების დონეზე. საჭიროების მიხედვით, რენტგენოლოგიური დიაგნოსტიკა ჩაუტარდა 328 და ინსტრუმენტული გამოკვლევის შემდგომი კონსულტაცია - 328 ბენეფიციარს. მედიკამენტოზური პროფილაქტიკა მიიღო 1051-მა ბენეფიციარმა.

ღონისძიების ფარგლებში ჯანმრთელი იყო დასკრინულ ბენეფიციართა 50,7%, 31% -ს ჩაუტარდა ინსტრუმენტული გამოკვლევა დიაგნოზის დადასტურების მიზნით, მ.შ. დიაგნოზი დაუდასტურდა 7-ს (2,1%-ს).




- **ღონისძიება „ფარისებრი ჯირკვლის გამოკვლევა ორსულებში“** ითვალისწინებდა ორსულებში ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიების ადრეული გამოვლენის მიზნით მომსახურების ჩატარებას: ინსტრუმენტულ-ლაბორატორიული გამოკვლევა – ულტრასონოგრაფია, ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონალური (თირეოტროპული ჰორმონი, თავისუფალი თიროქსინი) გამოკვლევა, ენდოკრინოლოგის კონსულტაცია. ღონისძიებით მოსარგებლე იყო „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის“ ანტენატალურ კომპონენტში ჩართული ორსულები, საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

რეგიონის ტერიტორიაზე მიმდინარე 2019 წელს მომსახურება გაეწია სულ 4153 ორსულს, მ.შ: ქალაქ ბათუმის ანტენატალური სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებებში - 3940 ორსულს, ქობულეთში- 123 და ხულოს სამედიცინო დაწესებულებაში -90-ს.

გამოკვლევულ ბენეფიციართა 69,7 % ჯანმრთელია, დანარჩენ 30,3 % -ში გამოვლინდა ფარისებრი ჯირკვლის სხვადასხვა პათოლოგია.


### გამოვლენილი პათოლოგიების წილი დაავადებათა ნოზოლოგიების მიხედვით



- ღონისძიების **„C ჰეპატიტი დაავადებულ პირთა დიაგნოსტიკის თანადაფინანსება“** ფარგლებში „C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის N169 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის ბენეფიციარებისთვის ხორციელდებოდა მკურნალობაში ჩართვამდე აუცილებელი კვლევებისა და მკურნალობის პროცესის მონიტორინგისათვის აუცილებელი კვლევების ჩატარების თანაგადახდის უზრუნველყოფა.

საანგარიშო პერიოდში 343 ბენეფიციარს ჩაუტარდა მკურნალობაში ჩართვამდე საჭირო 477 გამოკვლევა, მკურნალობის პროცესის მონიტორინგის მიზნით 362 ბენეფიციარს ჩაუტარდა საჭირო 997 გამოკვლევა

## ღონისძიების ბენეფიციარები მუნიციპალურ ჭრილში



- ღონისძიება „**ჰელმინთოზების სპექტრის დადგენა სკოლამდელ ასაკში**“ ითვალისწინებდა ქალაქ ბათუმის საბავშვო ბაღებში რეგისტრირებულ აღსაზრდელთა არანაკლებ 90%-ის ჰელმინთებზე ლაბორატორიული კვლევას.

საანგარიშო პერიოდში 7500 აღსაზრდელს ჩატარდა ჰელმინთებზე ლაბორატორიული კვლევა, რომელთა შორის 914 - ს (12,8%-ს) დაუდასტურდა ინვაზია.

- ღონისძიების ფარგლებში „**ახალშობილთა სკრინინგი მუკოვისციდოზზე**“ პირველადი, საჭიროების შემთხვევაში მეორადი სკრინინგი მუკოვისციდოზზე უნდა ჩატარებოდა ქობულეთის, ქედის, შუახევის და ხულოს მუნიციპალიტეტების სამედიცინო დაწესებულებებში დაბადებულ ახალშობილებს.

ღონისძიებით აღნიშნული მომსახურება დაფინანსდა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში.

- ღონისძიების ფარგლებში „**სმენის თანდაყოლილი პათოლოგიის მეორეული დიაგნოსტიკა**“ დაგეგმილი იყო პირველადი სკრინინგით გამოვლენილი სმენის დარღვევების მქონე ახალშობილებისათვის მეორადი სკრინინგის და საჭიროების შემთხვევაში მათი ჩაღრმავებული კვლევების (ტვინის ღეროს სმენის პასუხი, ტიმპანომეტრული კვლევა და კომპიუტერული აუდიომეტრია) ჩატარება; ბენეფიციარები იყვნენ აჭარის მუნიციპალიტეტებში - ქობულეთი, ხელვაჩაური, ქედა, შუახევი, ხულო რეგისტრირებული ახალშობილები (საპროგნოზოდ 80):

2019 წელს ღონისძიების ფარგლებში ჩატარებული კვლევები: მეორეული სკრინინგი 80 (მ.შ. ქობულეთი -67, ხელვაჩაური -2, ქედა -6, შუახევი 2, ხულო - 3), ტიმპანომეტრია - 5 (ხუთივე ქობულეთის მუნიციპალიტეტიდან ), ტვინის ღეროს სმენის პასუხის მარტივი ტესტი - 10, კომპიუტერულ აუდიომეტრიული კვლევა - 1

- ღონისძიება „**ბრონქული ასთმის დიაგნოსტიკა სამიზნე ჯგუფში**“ ითვალისწინებდა ქალაქ ბათუმის საჯარო და კერძო სკოლების I და II კლასელთა შორის, რომლებიც რეგისტრირებული იყვნენ აჭარის ა.რ. ტერიტორიაზე, რისკ-ჯგუფების იდენტიფიცირებას ტესტ-კითხვარის გამოყენებით, საპროგნოზო რაოდენობა 6000 მოსწავლე, (რისკ ჯგუფის ბაზის შექმნა-საპროგნოზოდ 500 ბენეფიციარი). ღონისძიებით განსაზღვრული დიაგნოსტიკური კვლევების ჩატარება შეეძლო ასევე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ, ალერგოლოგთან კონსულტაციაზე პირველადი ჯანდაცვის ცენტრის მიერ რეფერირებულ 6-12 წლის ასაკის არანაკლებ 200 ბენეფიციარს. შემთხვევის დროული მართვის მიზნით, დაგეგმილი იყო: ალერგოლოგის კონსულტაცია, გარეგანი სუნთქვის ფუნქციის გამოკვლევა, კანის პრიკ ტესტი არაინფექციური ალერგენებით, ამოსუნთქულ ჰაერში აზოტის მონოქსიდის განსაზღვრა ანალიზატორით.


ღონისძიებით ისარგებლა 700 ბენეფიციარმა, მ.შ:


- ა) ალერგოლოგის კონსულტაცია ჩაუტარდა 700-ს,
- ბ) გარეგანი სუნთქვის ფუნქციის გამოკვლევა 700-ს,
- გ) კანის პრიკ ტესტი არაინფექციურ ალერგენებზე 700-ს, რომელთა შორის დადებითი იყო -184 სულ გამოკვლეულ ბენეფიციართაგან 500 იყო ტესტ-კითხვარით იდენტიფიცირებული რისკ-ჯგუფის ბაზიდან, ხოლო 200 პირველადი ჯანდაცვის ქსელიდან რეფერირებული ბენეფიციარი. ამოსუნთქულ ჰაერში აზოტის მონოქსიდი განესაზღვრა 140-ს. გამოკვლეულ ბენეფიციართაგან ასთმის დიაგნოზი დაისვა 17,4%-ში (122).

- ღონისძიება „**აუტიზმის დიაგნოსტიკა სამიზნე ჯგუფში**“ აუტიზმის ადრეული დიაგნოსტიკისა და დროული მართვის მიზნით ითვალისწინებდა პირველადი ჯანდაცვის ქსელიდან რეფერირებული რეგიონის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 2-7 წლის ასაკის ბავშვთა სკრინინგს და საჭიროების შემთხვევაში დიაგნოსტიკას აუტიზმის სადიაგნოსტიკო დაკვირვების სქემით.

საანაგარიშო პერიოდში ღონისძიებით ისარგებლა 102-მა ბენეფიციარმა, მათ შორის ბავშვთა ფსიქიატრის კონსულტაცია აუტიზმის სკრინინგული შეფასებით ჩატარდა 100 ბენეფიციარისთვის, ADOS ტესტი - 80.

### ღონისძიების ბენეფიციარები მუნიციპალიტეტების მიხედვით





- ღონისძიების **”C ჰეპატიტის, ტუბერკულოზის, აივ ინფექციის აქტიური გამოვლენის ხელშეწყობის“** ფარგლებში რეგიონის მოსახლეობის ზოგად პოპულაციაში C ჰეპატიტის, აივ ინფექციისა და ტუბერკულოზის აქტიური გამოვლენის ხელშეწყობის მიზნით, დაგეგმილი იყო სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელთა მიერ ინტეგრირებული სკრინინგის განხორციელება 18 წლის ზემოთ ნებისმიერი პირისთვის საკარდაკარო შემოვლის გზით.

ღონისძიების შემსრულებელი ბათუმისა და ქობულეთის 11 დაწესებულების მიერ საანაგარიზო პერიოდში სკრინინგი ჩატარდა 42 617 ბენეფიციარს, სკრინინგის შედეგად გამოვლენილი საექვო შემთხვევები - C ჰეპატიტზე დადებითი -420, აივ ინფექცია/შიდსზე - 34, ტუბერკულოზზე - 206.